საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/342**

28 / თებერვალი / 2020 წ.

KA000029002561420

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მიზანშეწონილია შეიქმნას შესაბამისი კომპეტენტური პირების მიერ დაკომპლექტებული საკოორდინაციო საბჭო.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის N377 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, შემდეგი შემადგენლობით:

ა) გოჩა კურდღელია – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს თავმჯდომარე;
ბ) მამუკა პაპასკირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, საბჭოს წევრი;
გ) ნანა მხეიძე - ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;
დ) მაია მაკალათია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;
ე) ნონა სილაგავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ვ) ზურაბ ბერაია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნაბადის უბანში, საბჭოს წევრი;
ზ) სანდრო ქუშაშვილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი კუნძულის უბანში, საბჭოს წევრი;
თ) ზაზა ღადუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ცენტრის უბანში, საბჭო წევრი;
ი) უჩა დოლიძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მალთაყვის უბანში, საბჭოს წევრი;
კ) ზინაიდა გაგუა - ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

მუხლი 2. შემთხვევათა გამოვლენის, რეაგირების მექანიზმის შემუშავებისა და განსაზღვრის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადეკვატური რეაგირების, სიტუაციის მართვის მიზნით შეიქმნას ცხელი ხაზი (ტელეფონის ნომერი 577549682), რომლის გამართული მუშაობა და მათ შორის მზადყოფნა, საჭიროების შემხვევაში არასამუშაო საათებში სატელეფონო ზარების შეუფერხებლად მუშაობისთვის უზრუნველყოს ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა.

მუხლი 3. საკოორდინაციო საბჭოს სხდომები გაიმართოს საჭიროებისამებრ;

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია